განათლებისა და მეცნიერების რეფორმა საქართველოში

წლიური ანგარიში

2008

წლიური ანგარიში

2008

განათლებისა და მეცნიერების რეფორმა საქართველოში

წლიური ანგარიში
2008

სარჩევი

წინასიტყვაობა ---------- 5
ბიუჯეტი ---------- 7
ზოგადი განათლება
ინფრასტრუქტურის განახლება: მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილი", ---------- 8
ფონდი „ირმის ნახტომი"; პროგრამა „ჩემი პირველი კომპიუტერი" -- 10
კლასგარეშე ლიტერატურა და სპორტული ინვენტარი ---------- 10
ინკლუზიური განათლება ---------- 11
მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადები ---------- 12
სამოქალაქო ინტეგრაცია ---------- 14
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ---------- 16
ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ---------- 18
გამოცდების ეროვნული ცენტრი ---------- 20
ეროვნული პროფესიული სააგენტო ---------- 24
უმაღლესი განათლება:
პროგრამა „ცოდნის კარი" ---------- 26
ბოლონიის პროცესი ---------- 27
სოციალური დაცვის და ხელშეწყობის პროგრამები ---------- 28
განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ---------- 32
მეცნიერება განვითარებისთვის:
ეროვნული სამეცნიერო ფონდი ---------- 33
რუსთაველის ფონდი ---------- 38
რუსეთ-საქართველოს ომის ზემოქმედება
განათლების და მეცნიერების სექტორზე ---------- 41
საკონტაქტო ინფორმაცია ---------- 46

წინათქმა

წინათქმა

2008 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ახალი ნაბიჯები გადადგა ქვეყნის მომავლისათვის ამ უმთავრესი სფეროს რეფორმირების გზაზე. პოლიტიკის ძირითადი კურსი უცვლელი დარჩა; ამავე დროს, სამინისტრო უფრო ინტენსიურ დიალოგში ჩაერთო საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან, უპირველეს ყოვლისა, დარგის მუშაკებთან, რის შედეგადაც გადაისინჯა ზოგიერთი ადრე მიღებული გადაწყვეტილება.

აგვისტოში რუსეთის აგრესიის შემდეგ სამინისტროს, ისევე როგორც მთელ ქართულ საზოგადოებას, საგანგებო რეჟიმში მუშაობა მოუხდა. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა განსაკუთრებული ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა, მრავალი სკოლა, საგანმანათლებლო თუ კვლევითი დაწესებულება იძულებით გადაადგილებულ პირთა თავშესაფრად იქცა. ამ ადამიანების პირველი შემწე სწორედ სკოლების ადმინისტრაცია, მასწავლებლები და მშობლები იქცნენ, რომელთაც ექსტრემალურ პირობებში შეძლეს, ელემენტარული

საცხოვრებელი პირობები შეექმნათ ოკუპანტებს გამოქცეული თანამემამულეთათვის. ხელისუფლების კოორდინირებული და ენერგიული ქმედებების წყალობით, შესაძლებელი გახდა, მინიმუმამდე დასულიყო ომით სისტემისადმი მიყენებული ზარალი და საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა აბსოლუტურ უმრავლესობაში სწავლა დროულად დაწყებულიყო.

2008 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკა უფრო სოციალურად მგრძნობიარე გახდა. პროცენტული თვალსაზრისით, სერიოზულად გაიზარდა მასწავლებელთა ხელფასები და მიღებული იქნა პოლიტიკური გადაწყვეტილება უახლოეს წლებში მასწავლებელთა ხელფასების განუხრელ ზრდაზე. საქართველოს საჯარო სკოლების ყველა მასწავლებელი და მისი ადმინისტრაციის ძირითადი მუშაკები უზრუველყოფილი არიან უფასო სამედიცინო დაზღვევით. მნიშვნელოვანი სიახლე იყო ისიც, რომ სამინისტრომ თავის თავზე აიღო მასწავლებლების პროფესიული გადამზადების ხარჯები.

სამინისტროს კარგად ესმის, რომ მასწავლებლის ანაზღაურების არსებული დონე არ არის დამაკმაყოფილებელი, მაგრამ მისი განუხრელი და დაჩქარებული ზრდა აუცილებელი პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო.

განათლების და მეცნიერების მიზანია, მუშაობის ღირსეული და ადექვატური პირობები შეუქმნას საგანამანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს, მათ თანამშრომლებს, მოსწავლეებს და სტუდენტებს. წინამდებარე ანგარიშში შეგიძლიათ წაიკითხოთ, რა გააკეთა სამინისტრომ ამ მიმართულებით 2008 წელს. მაგრამ არანაკლებ მნიშნელოვანია, ვიზრუნოთ ხარისხზე. ამ მხრივ, გარდა სისტემური მექანიზმების შექმნაზე მიმართული ძალისხმევისა - როგორიცაა, მაგალითად, სასწავლებელთა აკრედიტაციის სისტემის აწყობა - დიდი მნიშვნელობა აქვს საუკეთესოთა აღიარებას და წახალისებას სახელმწიფოს მიერ. ამ მხრივ 2008 წელს მნიშვნელოვან სიახლედ იქცა წარჩინებულ მოსწავლეთათვის ოქროს და ვერცხლის მედლების სისტემის აღდგენა, ყველაზე წარმატებული უფროსკლასელების პრეზიდენტის საჩუქრით - პორტატული კომპიუტერით დაჯილდოვება, ორასი საუკეთესო მასწავლებლისთვის პრეზიდენტის სტიპენდიის მინიჭება.

სახელმწიფოს მხრიდან მზარდი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული განათლების სფეროს, რადგან მას უშუალო გავლენა აქვს მოქალაქეთა დასაქმების პრობლემის გადაწყვეტაზე. 2008 წელს გაიხსნა ახალი ასეთი სასწავლებლები, დამუშავდა დარგის განვითარების მრავალწლიანი კონცეფცია. საგულისხმო სიახლე იყო კერძო ბიზნესის დაინტერესება განათლების ამ სფეროთი, რაც რამდენიმე სასწავლებელში ჩადებულ ინვესტიციებში გამოიხატა. სამინისტროს აზრით, განათლების ამ დარგში ხარისხის მკვეთრი გაუმჯობესება მომავალშიც მხოლოდ ბიზნესთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით მიიღწევა.

ქართულ საზოგადოებაში არსებობს კონსენსუსი, რომ ქვეყნის შემდგომი განვითარების, გლობალურ დონეზე მისი კონკურენტუნარიანობის ძირითადი წინაპირობაა განათლების მაღალი ხარისხი და მისაწვდომობაა. ამ მიზნის მისაღწევად კიდევ ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი. მაგრამ დიდი მიზნები მხოლოდ კონკრეტული ნაბიჯებით მიიღწევა. ამ კონკრეტული ნაბიჯების შესახებ შეიძლება შეიტყოთ წინამდებარე ანგარიშში.

განათლების და მეცნიერების მინისტრი

გია ნოდია

ცნობილმა საკონსულტაციო ორგანიზაციამ "PADECO" განათლების რეფორმა საქართველოში დადებითად შეაფასა

„თავისი მოცულობითა და განხორციელების ვადებით აღნიშნული რეფორმები შეიძლება უპრეცენდენტო მოვლენად მივიჩნიოთ, სამინისტრომ მასშტაბური სისტემური რეფორმები განახორციელა როგორც სკოლის მართვის და ფინასური უზრუნველყოფის, ასევე სწავლებისა და სწავლის პრაქტიკის გაუმჯობესების თვალსაზრისით", - ნათქვამია ზოგადი განათლების გარდაქმნისა და განმტკიცების პროექტ „ილია ჭავჭავაძის" შეფასების დასკვნაში, რომელიც საკონსულტაციო ორგანიზაციამ "PADECO" წარმოადგინა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, მსოფლიო ბანკთან ურთიერთანამშრომლობით, პროექტის „ილია ჭავჭავაძე" განხორციელება 2001 წელს დაიწყო. პროექტი 2008 წლის 30 ივნისს დასრულდა.

ბიუჯეტი

2008 წელს განათლების და მეცნიერების სამინისტრომ ზოგადი განათლების, უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და პროფესიული განათლების დაფინანსებაზე სულ დახარჯა 458 მლნ ლარზე მეტი, აქედან:

- ზოგად განათლებაზე - 280 მილიონ ლარზე მეტი;
- უმაღლეს განათლებაზე - 47 მილიონ ლარზე მეტი;
- მეცნიერებაზე - 31 მილიონ ლარზე ლარი;
- პროფესიულ განათლებაზე - 8,5 მილიონ ლარამდე.

ჩანთლილისყურის საჯარო სკოლა

ზოგადი განათლება

ზოგადი განათლება

პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია”

პრეზიდენტის ნაციონალური მეგაპროგრამა „იაკობ გოგებაშვილი - საქართველოს საჯარო სკოლების რეაბილიტაცია” 2006 წლიდან ხორციელდება. პროგრამის მიზანია: საქართველოს ყველა საჯარო სკოლის შენობების რეაბილიტაცია, აღჭურვა სასკოლო ინვენტარითა და თვალსაჩინოებით და საქართველოს საჯარო სკოლების ყველა მოსწავლისათვის სწავლების უკეთესი პირობების შექმნა.

მეგაპროგრამის ფარგლებში 2006-2008 წლებში საქართველოში გარემონტდა/აშენდა 650-მდე საჯარო სკოლა.

2008 წელს სულ საქართველოს მასშტაბით განხორციელდა 234 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:

- 15 საჯარო სკოლის მშენებლობა;
- 42 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- 165 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

ამაზე ბიუჯეტიდან 78 621 571 ლარი დაიხარჯა.
შედეგად, კიდევ 72 954 მოსწავლე კომფორტულ გარემოში აგრძელებს სწავლას.

საჯარო სკოლების საერთო რაოდენობის 80%-ზე მეტის რეაბილიტაციისთვის 40 მლნ. ლარზე მეტი ადგილობრივ თვითმმართველობას ტრანსფერით გადაეცა.

სკოლების რეაბილიტაციის პროგრამა მომავალ წლებშიც გაგრძელდება.

სამინისტროს აქტივობა - 31 საჯარო სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის:

- 4 საჯარო სკოლის მშენებლობა;
- 11 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- 8 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
- რეაბილიტაციის თანხა - 12 214 271 ლარი;

მუნიციპალიტეტების აქტივობა - 196 საჯარო სკოლის მშენებლობა- რეაბილიტაცია, მათ შორის:

- 4 საჯარო სკოლის მშენებლობა;
- 31 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია;
- 157 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია;
- რეაბილიტაციის თანხა - 40 103 300 ლარი;

მუნიციპალური განვითარების ფონდის აქტივობა:

- 7 საჯარო სკოლის მშენებლობა;
- რეაბილიტაციის თანხა - 26 304 000 ლარი;

ფონდი „ირმის ნახტომი"

2005 წლიდან დღემდე, ფონდ „ირმის ნახტომის" მიერ სკოლებსა და საგანმანათლებლო რესურსცენტრებში შეტანილია 26 000 კომპიუტერი.

2008 წელს 900-მდე სკოლაში 9 500 კომპიუტერია შეტანილი, დამატებით 200 სკოლაში 200 ლეპტოპია შეტანილი. არსებული მონაცემებით, ამჯერად 22 მოსწავლეზე 1 კომპიუტერია გათვლილი. უკვე 2009 წელს, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ყველა საჯარო სკოლაში 20 მოსწავლეზე 1 კომპიუტერი იქნება გათვალისწინებული.

„ჩემი პირველი კომპიუტერი"

პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის „ჩემი პირველი კომპიუტერი" ფარგლებში, ბოლო სასწავლო წლის მე-10, მე-11-კლასელი წარჩინებული მოსწავლეები ASUS Eee PC, თანამედროვე ულტრაპორტატული კომპიუტერებით დაჯილდოვდნენ. ქვეყნის მასშტაბით პერსონალური კომპიუტერი 7 200-ზე მეტ წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა.

კლასგარეშე ლიტერატურა და სპორტული ინვენტარი

სამინისტრომ ყველა საჯარო და კერძო სკოლას კლასგარეშე ლიტერატურისა და სპორტული ინვენტარის კომპლექტები გადასცა. 1 100 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი, აღჭურვილობა და კლასგარეშე ლიტერატურა სულ 2 500-მდე სკოლაში დარიგდა. სპორტული ინვენტარის შესაძენად 2 723 400 ლარი, ხოლო 500 ლარის ღირებულების კლასგარეშე ლიტერატურით სკოლის ბიბლიოთეკების შევსებისათვის 1 135 500 ლარი გამოიყო. სპორტული ინვენტარის პაკეტში შევიდა კალათბურთის, ფეხბურთის, ფრენბურთის და რაგბის ბურთები, ფრენბურთის ბადე, ფეხბურთის კარის ბადე, კრივის ხელთათმანი და ტომარა, სავარჯიშო ლეიბი და სხვ.

თბილისის №-10 საჯარო სკოლა

ინკლუზიური განათლება

საქართველოში ზოგადი განათლების სისტემა მიზნად ისახავს ხელსაყრელი პირობები შეუქმნას ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღირებულება, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური განსხვავების მიუხედავად, ყველა ადამიანის მიმღებლობა, მათთვის სწავლის თანაბარი შესაძლებლობის მინიჭებაა. სწორედ ამ იდეალების განსახორციელებლად განათლების რეფორმით გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების დანერგვა, რომელიც გულისხმობს ფიზიკურად, სოციალურად, თუ ინტელექტუალურად განსხვავებული ყველა მოსწავლისათვის ხელმისაწვდომ, ზოგადსაგამანათლებლო სასწავლო პროცესს.

განათლება ყველასთვის

ინკლუზიური განათლების პროექტის განხორციელება საქართველოში 2006 წლის ნოემბერში დაიწყო. ამჟამად საქართველოს მასშტაბით 15 სკოლაში მიმდინარეობს ინკუზიური განათლების დანერგვა, სასწავლო პროცესში ჩართულია 300-ზე მეტი ბავშვი, გადამზადდა 300-მდე პედაგოგი და მშობელი ინკლუზიური განათლების მიმართულებით, ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ შეიქმნა ინკლუზიური განათლების სახელმძღვანელო. სამინისტროს ინიციატივითა და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების საააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და ფონდის „გადავრჩინოთ ბავშვები" დახმარებით შემუშავდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვთა განათლების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2009-2011.

ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს შორის გაფორმდა საგრანტო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც 2006 წლის ნოემბრიდან 2008 წლის დეკემბრის ჩათვლით განხორციელდა პროექტი „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის პროექტი თბილისის ათი სკოლისათვის". პროექტის განხორციელების მიზნით:

- სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 62 800 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში;
- ნორვეგიის მთავრობამ გამოყო 300 000 აშშ დოლარი.

მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადები

ქართველმა მოსწავლეებმა საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებზე წარმატებებს მიაღწიეს.

2008 წელს საქართველოს ნაკრები გუნდები, ტრადიციულად, ეროვნულ ოლიმპიადაში გამარჯვებული მოსწავლეებისგან დაკომპლექტდა. მოსწავლეებმა 9 მედალი მოიპოვეს:

- 49-ე საერთაშორისო ოლიმპიადა **მათემატიკაში** (ესპანეთი, ქ. მადრიდი) 10-22 ივლისს ჩატარდა, 5 ბრინჯაოს მედალი;
- 39-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე **ფიზიკაში** (ვიეტნამი, ქ. ჰანოი), რომელიც 20-29 ივლისს ვიეტნამში, 1 ბრინჯაოს მედალი;
- მე-20 საერთაშორისო ოლიმპიადაზე **ინფორმატიკაში** (ეგვიპტე, ქ. ქაირო), რომელიც 16-23 აგვისტოს ჩატარდა, 3 ბრინჯაოს მედალი.

საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის ჩვენი ნაკრები გუნდების მომზადება და ოლიმპიადებში მათი მონაწილეობის სრული უზრუნველყოფა ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ეროვნული და საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადების პროგრამის" ფარგლებში.

პირველი ოქროს მედალი: *ბოლო 10 წლის განმავლობაში 2007 წელს პირველად ქართველმა მოსწავლემ, რატი გელაშვილმა, ოქროს მედალი მოიპოვა მათემატიკის 48-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე. სულ ჰანოიდან (ვიეტნამი) საქართველოს დელეგაცია 1 ოქროს, 1 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედლით დაბრუნდა. ამავე წელს ხორვატიის დედაქალაქში გამართულ ინფორმატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზეც საქართველოს დელეგაციამ 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.*

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

გახდი ოლიმპიელი!

ასეთი წარმატების მიღწევა შენც შეგიძლია

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებულები.
ვიეტნამი 2007

ისწავლე და გახდი მათემატიკის, ფიზიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნით ყველაზე წარმატებული

გუნდური და ინდივიდუალური სასკოლო ოლიმპიადა 7-12 კლასელებისთვის

შექმენი საინტერესო პროექტი მეგობრებთან ერთად. გაიცანი შენი ქვეყანა. გამოიკვლიე წარსული და შეიტანე ლილი წარმატებული ომავლის შენებაში

გუნდურ-ინტეგრირებულ კონკურსში გამარჯვებული გუნდი. ყვარლის რაიონის სოფელ ახალსოფლის სკოლა. პროექტი „პანკისელი ქისტების ტრადიციები“

მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადაში გამარჯვებული. ოქროსმედალოსანი რატი გელაშვილი. შეხვედრა პრეზიდენტთან

მიბაძე შენს თანატოლებს

ოქვენით ვამაყობთ!

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

ტელ: 957 902 ... www

სამოქალაქო ინტეგრაცია

2004 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს ერთიან პოლიტიკას ეროვნული უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით. ამ პოლიტიკის მიზანია ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ განათლების ხელმისაწვდომობას (განათლების ყველა დონეზე) ეროვნული უმცირესობებისათვის, ხელს უწყობენ სახელმწიფო ენის პოპულარიზაციას და ასევე, ეროვნული უმცირესობების ენობრივი, კულტურული და რელიგიური თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ეს პოლიტიკა, თავის მხრივ, ასახავს სამოქალაქო ინტეგრაციისადმი სახელმწიფოებრივ მიდგომას.

საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის გარდაქმნისა და განმტკიცების პროცესის ფარგლებში საქართველოში შეიქმნა ახალი სასწავლო გეგმები და მათ საფუძველზე ახალი სახელმძღვანელოები. ახალ სასწავლო გეგმებსა და სახელმძღვანელოებს საქართველოს ყველა არაქართულენოვანი სკოლა იღებს.

2008 წელს „არაქართულენოვან სკოლებში სახელმწიფო ენის შესწავლის პროგრამის" ფარგლებში საქართველოს ყველა არაქართულენოვანი სკოლის მეორეკლასელ მოსწავლეს უფასოდ დაურიგდა მე-2 კლასის ქართული ენის სახელმძღვანელო „შევისწავლოთ ქართული ენა".

სამინისტროს მიერ ეუთოს მხარდაჭერით შემუშავებულ იქნა კონცეფცია - „ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია მულტილინგვური განათლების გზით". 2008 წლის განმავლობაში მოეწყო დოკუმენტის საჯარო განხილვა სხვადასხვა დონეზე, მათ შორის ომბუდსმენის აპარატთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა საბჭოსთან ერთად. 2009-2010 აკადემიურ წელს დაგეგმილია მულტილინგვური განათლების პროგრამის პილოტირება საქართველოს 40 არაქართულენოვან საჯარო სკოლაში.

2008 წელს პირველად მისაღები გამოცდები ზოგად უნარ-ჩვევებში უმცირესობების ენებზე ჩატარდა. ვინაიდან ადამიანი მშობლიურ ენაზე უკეთ ავლენს თანმიმდევრული მსჯელობისა და ლოგიკური აზროვნების უნარს, ზოგადი უნარების ტესტი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა.

სამინისტრომ ეუთოს მხარდაჭერით, „მოზარდებისათვის სახელმწიფო ენის შესწავლის ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში, 2007 წლიდან საჯარო სკოლებისა და საგანმანათლებლო რესურს-ცენტრების დაფინანსება დაიწყო. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ახალქალაქსა და ნინოწმინდაში გაიხსნა ზრდასრულთა განათლების ცენტრები - „ენის შემსწავლელი სახლები" მასწავლებლებისთვის, საჯარო მოხელეთათვის, სამხედროებისთვის, სამედიცინო და სოციალური მუშაკებისთვის, მცირე ბიზნესში ჩართული ადამიანებისა და სხვა სოციალური ჯგუფებისთვის. **2008 წელს „ენის სახლებში" ქართული ენის კურსი 682 მსმენელმა გაიარა.**

„სსიპ - ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა" 2005 წელს საქართველოს პრეზიდენტის და სახელმწიფოს მხარდაჭერით დაფუძნდა. სკოლა საქართველოს რეგიონებში სახელმწიფო მმართველობისა და თვითმართველობის დაწესებულებებში მართვის დემოკრატიული სტილის დამკვიდრების, საზოგადოებრივი მომსახურების ხარისხის ამაღლების, საჯარო სამსახურში კვალიფიციური კადრების დეფიციტის დაძლევის და ეროვნული უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლების და მათი სახელმწიფოებრივ სივრცეში ინტეგრაციის მიზნით შეიქმნა. კვალიფიციური საჯარო მოსამსახურეების მომზადების გარდა, ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლაში ეთნიკური უმცირესობებისთვის სპეციალურად შექმნილი სახელმწიფო ენის შემსწავლელი პროგრამაც მოქმედებს. ქართული ენის ინტენსიური სწავლების კურსი გაიარა სულ 186 მსმენელმა, მათ შორის 2008 წელს 15-მა, ხოლო სახელმწიფო მართვის პროგრამა გაიარა 403 მსმენელმა, მათ შორის 2008 წელს 33-მა.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

მასწავლებელთა პროფესიული

მასწავლებლობის მსურველებს სამუშაო ადგილის მოძებნა ვებ-გვერდის საშუალებით შეუძლიათ. www.pedagogi.ge

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივით შეიქმნა მასწავლებელთა ვაკანსიების სარეგისტრაციო ვებ-გვერდი. ვებ-გვერდის პოტენციური მომხმარებლები არიან საჯარო და კერძო სკოლები, რომლებსაც აქვთ მასწავლებლის ვაკანსია, აგრეთვე კვალიფიციური სპეციალისტები, რომლებსაც სურვილი აქვთ, დასაქმდნენ სკოლაში ან გაიარონ პრაქტიკა.

ახალი პროფესიული ჟურნალი მასწავლებლებისათვის

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის ინიციატივითა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით დაიწყო ჟურნალ „მასწავლებლის" გამოცემა. ჟურნალის მიზანია პედაგოგიური საქმიანობის პოპულარიზაცია და მასწავლებლებისათვის საინტერესო თემებისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების გაცნობა. ჟურნალის ორ-ორი ეგზემპლიარი ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასა და რესურსცენტრში უფასოდ რიგდება. 2008 წელს გამოიცა სულ 4 ნომერი. 2009 წლიდან ჟურნალი გამოვა ყოველ ორ თვეში ერთხელ განახლებული დიზაინითა და ფორმატით.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ცენტრის" მიერ აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ითარგმნა და დარიგდა ჟურნალი „მასწავლებელი". ასევე ითარგმნა პუბლიკაციები „სწავლებისა და განვითარების თეორიები" და „სწავლება და შეფასება".

სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის

დამტკიცდა, გამოიცა და გავრცელდა მასწავლებლის პროფესიული და საგნობრივი სტანდარტები როგორც ქართულ, ისე სომხურ, აზერბაიჯანულ და რუსულ ენებზე.

სტანდარტების შესაბამისად, მომზადდა მასწავლებელთა პროფესიული უნარების ტესტისთვის მოსამზადებელი **დამხმარე სახელმძღვანელო** 3 წიგნად: I. განვითარებისა და სწავლის თეორიები; II. სწავლება და შეფასება; III. სასწავლო და პროფესიული გარემო. სახელმძღვანელოში თავმოყრილია ის საკითხები, რომელთა ცოდნაც მასწავლებლებს ახალი პროფესიული სტანდარტით მოეთხოვებათ. გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო ინფორმაციული ხასიათისაა, ის მასწავლებლებს გამოცდილებით შეძენილი უნარების სისტემატიზაციაშიც შეუწყობს ხელს.

მასწავლებლებს დიდ დახმარებას გაუწევს ცენტრის კიდევ ერთი გამოცემა: „ინტერკულტურული განათლება", რომელიც ასევე ყველა სკოლასა და რესურს-ცენტრში უსასყიდლოდ დარიგდა.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა
და შეფასების ცენტრი
National Curriculum
& Assessment Centre



ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

ეროვნული შეფასება

2008 წელს ეროვნული სასწავლო გეგმებისა (ესგ) და შეფასების ცენტრმა დაიწყო ეროვნული შეფასების ტესტის შექმნის პროცესი. ტესტის შექმნაში ესგ და შეფასების ცენტრის საგნობრივ ექსპერტებთან ერთად მონაწილეობენ სკოლის მასწავლებლები და უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები. პროექტის საერთაშორისო კონსულტანტები არიან ნიდერლანდური ინსტიტუტები CITO და DUTCHTEST.

ქართულის, როგორც მეორე ენის საგნობრივი პროგრამა

დასრულდა სამივე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო) საფეხურისათვის ქართულის, როგორც მეორე ენის სასწავლო პროგრამის სამუშაო ვარიანტი. დოკუმენტი განთავსდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის საიტზე.

სტანდარტის განსახილველად შეიქმნა საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც დაევალა ახალი სასწავლო გეგმის სრული სამუშაო ვერსიის შემდგომი განხილვა და მონაწილეობა დოკუმენტის გაუმჯობესებაში. საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტისა და არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები და წამყვანი სპეციალისტები, გამოცდების ეროვნული ცენტრის ექსპერტები და სკოლების მასწავლებლები.

გაზეთების გამოცემა

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ იბეჭდება 5 დასახელების გაზეთი: „დიალოგი” - ქართულენოვანი; „დიალოგი” - სომხურენოვანი; „დიალოგი” - აზერბაიჯანულენოვანი; „მრავალენოვანი განათლება” - სამენოვანი; „დიალოგი +” - ქართულენოვანი.

გაზეთ „დიალოგის” გამოცემა დაიწყო 2008 წლის ოქტომბრიდან, ხოლო დანარჩენი გაზეთების - ამავე წლის ნოემბრიდან. ყველა გაზეთი, გარდა „დიალოგი+”-სა, უფასოდ მიეწოდება სკოლებს.

გამოცდების ეროვნული ცენტრი

ერთიანი ეროვნული გამოცდები

- 2005 წლიდან მოყოლებული, ეროვნულმა გამოცდებმა სრულად შეცვალა ახალგაზრდა თაობის წარმოდგენები და ისინი ცოდნის, სამართლიანობის, თანაბარი კონკურენტულობის ღირებულებებზე დააფუძნა.
- გამოცდების ცენტრალიზებული წესით ყოველწლიურად 30-დან 40 ათასამდე ახალგაზრის ცოდნა და უნარები გამოიცდება, მათგან 15-დან 18 ათასამდე სტუდენტი ხდება, საუკეთესონი კი სახელმწიფო სასწავლო გრანტს იღებენ.
- ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა საერთაშირისო აღიარება მოიპოვა, როგორც ქვეყანაში კორუფციის დაძლევის ეფექტურმა მექანიზმმა.

მთავარი სიახლეები 2008 წლის ეროვნულ გამოცდებზე

ნაშრომების ელექტრონული გასწორება – დაინერგა საგამოცდო ნაშრომების შესაბამისი კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით გასწორება. გამსწორებლებს აღარ უწევთ ქაღალდებთან მუშაობა, არამედ იგივე ოპერაციებს ისინი კომპიუტერის დახმარებით აკეთებენ. ეს სიახლე უზრუნველყოფს გასწორების დროის შემცირებას, ეფექტურობის ზრდას და ხარჯების დაზოგვას.

ზოგადი უნარები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე – აბიტურიენტებს შესაძლებლობა მიეცათ ზოგადი უნარების ტესტი აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე ჩაებარებინათ. აქამდე ზოგადი უნარების ტესტი მზადდებოდა მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე. ამ სიახლემ შესაძლებლობა მისცა სომხურ და აზერბაიჯანულენოვან აბიტურიენტებს მშობლიურ ენაზე ჩააბარონ ზოგადი უნარების ტესტი და შესაბამისად მაქსიმალურად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები.

აბიტურიენტებს საშუალება მიეცათ მიეთითებინათ როგორც აკადემიური ფაკულტეტები, ისე უმაღლესი პროფესიული პროგრამები.

გაუქმდა ქულების შენახვის მექანიზმი - 2008 წლამდე ქულების შენახვა შესაძლებელი იყო 1 წლის განმავლობაში. ქულების შენახვის მექანიზმის გაუქმება დაკავშირებულია 12-წლიან სწავლებაზე გადასვლასთან და პროგრამულ ცვლილებებთან.

2008 წელს: დარეგისტრირდა – 24 150 აბიტურიენტი; ჩაირიცხა – 18 357, მათ შორის უმაღლესი პროფესიული პროგრამით – 2 798; გრანტი მოიპოვა – 8 200 აბიტურიენტმა, მათ შორის უმაღლესი პროფესიული პროგრამით - 374 აბიტურიენტმა.

2005-08 წლებში: სახელმწიფომ დააფინანსა 31 994 სტუდენტი, ამაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაიხარჯა 25 343 273 ლარი;

2008 წელს: საგრანტო დაფინანსება მიიღო 8 200 სტუდენტმა, ამაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯა 6,5 მლნ. ლარი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში

გამოცდების ეროვნული ცენტრი

საქართველო საერთაშორისო კვლევებში განათლების რეფორმის საწყის ეტაპზე ჩაერთო, როდესაც განსაკუთრებით საჭირო იყო რეფორმის ინდიკატორების განსაზღვრა და პროცესის სისტემატური მონიტორინგი.

საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებში მონაწილეობა, შედეგების მიხედვით არსებული სურათის განსაზღვრა, ხარვეზების გაანალიზება და შემდგომი სტრატეგიის შემუშავება დღესაც ძალზე მნიშვნელოვანია განათლების სისტემის სრულყოფისათვის - თანამედროვე სამყაროს მოწინავე ქვეყნები საგანმანათლებლო პოლიტიკას, ცვლილებების კურსსა და ხასიათს სწორედ საგანმანათლებლო კვლევების შედეგების მიხედვით განსაზღვრავენ.

2006-2007 წლებში საქართველომ მონაწილეობა მიიღო სამ ფართომასშტაბიან საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევაში:

- 9-10 წლის ბავშვთა წიგნიერების დონისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა (PIღLშ);
- 9-10 და 13-14 წლის მოზარდებში მიღწევების შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში (TIMSS);
- მათემატიკის მომავალ მასწავლებელთა მომზადების საერთაშორისო კვლევა (TEDS-M).

კითხვის უნარის განვითარების საერთაშორისო კვლევას (PIRLS) საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაცია ატარებს. კვლევაში მსოფლიოს 45 ქვეყანა მონაწილეობდა. კვლევა 5 წელიწადში ერთხელ ტარდება და მისი მიზანი სწავლის და სწავლების დონის გაუმჯობესებაა. საქართველოში კვლევა გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა ჩაატარა. 9-10 წლის ბავშვების წიგნიერების დონისა და მისი განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლის მიზნით ტესტირება საქართველოს 149 სკოლაში ჩატარდა. კვლევაში მონაწილეობა 4300-ზე მეტმა მეოთხეკლასელმა მიიღო.

საქართველოს სკოლების მოსწავლეების შედეგები საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე დაბალი აღმოჩნდა – საქართველოზე უფრო დაბალი შედეგები აქვთ ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა მაროკო, ქუვეიტი, სამხრეთ აფრიკა და სხვა. რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს, ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ქვემო ქართლს, იმერეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთს აღმოაჩნდა. საერთაშორისო კვლევის მიზანი იმ რეკომენდაციების შემუშავებაა, რომელიც კითხვის უნარის განვითარებას შეუწყობს ხელს.

TIMSS - გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში ქართველი მოზარდების შედეგები მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევის (TIMSS) მონაცემების მიხედვით გამოაქვეყნა. კვლევაში მსოფლიოს 43 ქვეყნის 4 350 მეოთხეკლასელი და 58 ქვეყნის 4 517 მერვეკლასელი მოსწავლე მონაწილეობდა. საქართველოდან ამ კვლევაში 152 სკოლა იყო ჩართული. ქართველ ბავშვებს მოსწავლეთა მიღ-

წევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიაში საშუალოზე დაბალი შედეგები აქვთ.

TEDS-M - არის მათემატიკის მასწავლებელთა განათლების შედარებითი კვლევა, რომელიც მიზნად ისახავს მომავალ მასწავლებელთა განათლების სისტემის სრულყოფას. საერთაშორისო კვლევაში მსოფლიოს 18 ქვეყანა იყო ჩართული. საქართველოდან TEDS-M კვლევაში 10 უმაღლესი სასწავლებელი, 584 მომავალი მასწავლებელი (სტუდენტი) და 61 პროფესორ-მასწავლებელი მონაწილეობდა. კვლევის შედეგები დამუშავების პროცესშია.

ია კუტელია – გამოცდების ეროვნული ცენტრის კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ეროვნული პროფესიული სააგენტო

2008 წელს სააგენტოს მიერ მომზადდა პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს წინასწარი ვარიანტი. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიზანია საქართველოში არსებული სახელობო განათლებაში წარმოდგენილი ყველა პროფესიის, კვალიფიკაციის, კვალიფიკაციის დონისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის სისტემატიზირება. იმის გათვალისწინებით, რომ მიმდინარეობს განათლების სისტემის რეფორმა და ის ყალიბდება ბოლონიის და კოპენჰაგენის პროცესების გათვალისწინებით, მხედველობაში იყო მიღებული ევროპის კვალიფიკაციების ჩარჩოს შემუშავების გამოცდილება და რეკომენდაციები.

შრომის ბაზრის კვლევა

მშენებლობის, ტურიზმის და სოფლის მეურნეობის დარგებში პროფესიულ კვალიფიკაციებზე შრომის ბაზრის მოთხოვნების დადგენის მიზნით მომზადდა და ჩატარდა კვლევა. დამსაქმებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე დამატებით იყო შესწავლილი კადრებზე პერსპექტიული მოთხოვნა. კვლევის საბოლო შედეგები, პროფესიულ სააგენტოში დამუშავების შემდეგ, აისახა პროფესიულ სტანდარტებში.

მომზადდა პროფესიული სტანდარტები სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და მშენებლობის დარგებისათვის.

სტანდარტების მომზადების პროცესში მონაწილეობდა 17 ექსპერტი, შეიქმნა სტანდარტების განხილვის 14 სამუშაო ჯგუფი. ჯგუფების საქმიანობაში მონაწილეობდა 200-მდე სპეციალისტი, მათ შორის იყვნენ დამსაქმებლები, წარმომადგენლები პროფესიული სწავლების ცენტრებიდან, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, სამთავრობო და არასამთავრობო უწყებებიდან; სტანდარტების შემუშავებისას გამოყენებული იყო ისეთი ქვეყნების გამოცდილება, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა, დიდი ბრიტანეთი, ესტონეთი, ახალი ზელანდია და სხვა.

ახალციხის პროფესიული სასწავლებელი

შემუშავდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის პროფესიული სტანდარტი. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა დაამტკიცა სააგენტოს მიერ შემუშავებული სტანდარტი.

2008 წლის ოქტომბერ-ნოემბერში განხორციელდა მიღება როგორც სახელმწიფო საჯარო, აგრეთვე კერძო სასწავლებლებში. 2008-2009 სასწავლო წელს პროფესიულ სასწავლო ცენტრებში სახელობო პროგრამებზე მიღების სტატისტიკით:

- 34 სახელმწიფო სასწავლებელში 213 პროგრამაზე მიღებულია 5 015 სტუდენტი; ამათგან ყველაზე მეტი სტუდენტი მიღებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების (1005), მენეჯმენტის და ფინანსების (898), მშენებლობის (672) მიმართულებებზე;
- 2008-09 სასწავლო წლისთვის 16 კერძო სახელობო სასწავლებლებში განხორციელდა მიღება 45 სახელობო პროგრამაზე. კერძო სახელობო სასწავლებლებში მიღებულია 2 165 სტუდენტი, ამათგან ყველაზე ბევრი სტუდენტი (1 343) - ბათუმის ნავიგაციის ინსტიტუტის საერთაშორისო საზღვაო მომზადების ცენტრში;
- უმაღლეს პროფესიულ პროგრამებზე მიღებულია 1 353 სტუდენტი.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლება

პროგრამა „ცოდნის კარი" — 2008

ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს მთავრობის ინიციატივით და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს წამყვან ბანკებს შორის თანამშრომლობის შედეგად, შეიქმნა პროგრამა **„ცოდნის კარი"**.

პროგრამის ამოცანა იყო გაეზარდა საქართველოს მოქალაქეებისთვის საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა. პროგრამა ერთობლივად განახორციელეს სახელმწიფო და წამყვანმა ქართულმა კერძო ბანკებმა და საზღვარგარეთ სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხულ საქართველოს მოქალაქეებს შეღავათიანი სესხები შეთავაზეს, რაც განხორციელდა სესხების სუბსიდირების საშუალებით.

რესურსების 50% წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ კერძო ბანკებისათვის 10 წლის ვადით მიცემული უპროცენტო კრედიტი, ხოლო მეორე ნახევარი ბანკების საკუთარი საკრედიტო სახს-

რებია. სესხის სახელმწიფო წილი გაიცა წლიური 6% განაკვეთის პირობებში, ხოლო ბანკის წილი 12%-ში.

პროექტში მონაწილეობა მიიღეს „სახალხო ბანკმა", „თი-ბი-სი" ბანკმა, ბანკმა „რესპუბლიკა", „ბაზის ბანკმა" და „საქართველოს ბანკმა". სესხების გაცემა ივნისის თვეში დაიწყო და 6 თვის განმავლობაში 54 სესხი გაიცა. გაცემული სესხების ჯამმა 2 445 640 ლარი შეადგინა. გაცემული სესხების რაოდენობით და მათი ჯამური მოცულობით, ხუთ პარტნიორ ბანკს შორის „სახალხო ბანკი" ლიდერობდა. სფეროების მიხედვით, დაფინანსებული სტუდენტების უდიდესი წილი ბიზნეს-ადმინისტრირებაზე და სამართალზე მოდის. თუმცა, ბანკებმა დააფინანსეს სტუდენტები, რომლებმაც სწავლა ხელოვნებასა და დიზაინზე, სოციალურ მეცნიერებებზე და საავიაციო ინჟინერიაზე გააგრძელეს.

საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ევროპის და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის ხელშეწყობის და საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფისთვის *უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების სფეროში 2008 წელს განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:*

ტვინინგის პროექტი - შესაძლებლობების გაძლიერება ბოლონიის პროცესის ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

პროექტის მიზანია საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესება და ადამიანური რესურსების გაძლიერება, რაც უზრუნველყოფს ბოლონიის პროცესის რეფორმათა განხორციელებას. ტვინინგის პროექტი წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს ბოლონიის პროცესისა და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ბოლონიის პროცესის ოფიციალური პანევროპული კონფერენცია თემაზე: „ეროვნული და ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოების ურთიერთშესაბამისობა - თვითსერტიფიცირების პრინციპები".

27-28 ნოემბერს საქართველოში პირველად ჩატარდა ბოლონიის ოფიციალური სემინარი, რომელიც ეროვნულ კვალიფიკაციებს შეეხებოდა. კონფერენციის მიზანი წარმატებით იქნა მიღწეული: მოხდა ბოლონიის პროცესის სხვადასხვა მონაწილე ქვეყნის გამოცდილების გაზიარება და საბოლოო დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.

კონფერენციაზე მოწვეული იყვნენ ბოლონიის პროცესის 25 ქვეყნის უმაღლეს განათლებაზე მომუშავე ექსპერტები (BFUG წევრები), საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორები და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსები, ბოლონიის პროცესის მონაწილე ქვეყნების აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები, დონორი და საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უმაღლეს განათლებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კონფერენციას დაესწრო 130-მდე მონაწილე.

სოციალური დაცვის და ხელშეწყობის პროგრამები

სამედიცინო დაზღვევა

2008 წლის იანვრიდან ყველა პედაგოგისთვის, სკოლების ადმინისტრაციული პერსონალისთვის და სხვადასხვა ტიპის საალმზრდელო დაწესებულების პერსონალისთვის უფასო სამედიცინო დაზღვევა ამოქმედდა. სულ 85 ათასამდე განათლების მუშაკის სამედიცინო დაზღვევაზე ბიუჯეტიდან 12 მილიონ ლარზე მეტი გამოიყო.

სადაზღვევო კომპანია ყველა ბენეფიციარმა შემოთავაზებული პირობების მიხედვით თავად აირჩია.

მასწავლებელთა საბაზო ხელფასი 150-დან 200 ლარამდე გაიზარდა.

500 მასწავლებელი პრეზიდენტის სტიპენდიანტი გახდა.

2008 წელს პრეზიდენტის 200-ლარიანი სტიპენდია 500-მა საუკეთესო პედაგოგმა 8 თვის განმავლობაში მიიღო. სტიპენდიის დაწესების მიზანი მასწავლებლის პროფესიის პოპულარიზაცია იყო. კანდიდატები წარადგინეს როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებმა.

სოციალური ხელშეწყობის პროგრამები

სამინისტრო 2005 წლიდან ახორციელებს საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო დაფინანსების გზით უმაღლესი განათლების ხელშემწყობი პროგრამების დაგეგმვას და შესრულებას; ახორციელებს უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის და მოქალაქეობის არმქონე პირთათვის საქართველოში უმაღლესი განათლების ხელშემწყობ სოციალურ პროგრამებს; ასევე, საქართველოში აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარჩინებულ სტუდენტთა წახალისებას სტიპენდიების მეშვეობით.

2008 წელს სოციალური გრანტებისთვის **გამოყოფილი იყო 650 000 ლარი.** აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა საბაკალავრო და უმაღლესი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **შემდეგი სხვადასხვა კატეგორიის 537 სტუდენტი, კერძოდ:**

1. 150 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

2. 135 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს კონფლიქტის ზონებში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

3. 30 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

4. 30 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

5. 45 სტუდენტი, რომლებიც არიან საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები;

6. 13 სტუდენტი, რომლებიც არიან კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები;

7. 30 სტუდენტი, რომლებიც არიან ობოლ (უდედმამო) და მრავალშვილიანი ოჯახის (4 და მეტი შვილით) წევრები;

8. დარჩერნილი თანხა გადაუნაწილდათ: 2007-2008 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტებს (საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს), რომლებმაც ვერ მოიპოვეს სრული გრანტი ან მოიპოვეს გრანტის ნაწილობრივი ოდენობა, მათ შორის 2007-2008 სასწავლო წლის სოციალური პროგრამის დაფინანსების ფარგლებში და სტუდენტებს, რომელთა ოჯახები რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სოციალური გრანტებით ასევე დაფინანსდა:

53 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს ყოფილი სამხრეთ ოსე-თის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე შექმნილ დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში;

81 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

2008 წელს „განსაკუთრებით ნიჭიერი ბავშვების და ახალგაზრდებისათვის გრანტებისა და სტიპენდიების მინიჭების პროგრამის" ქვეპროგრამის „ბაკალავრიატის სტუდენტთა სტიპენდიები" ფარგლებში **150-ლარიანი სტიპენდიები** მიენიჭა საქართველოს 15 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბაკალავრიატის **1 945 სტუდენტს**. ბაკალავრიატის სტუდენტთა სტიპენდიების ბიუჯეტი 2008 წელს 2 036 250 ლარი იყო. სტიპენდია სტუდენტებმა 9 თვის განმავლობაში მიიღეს.

რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული თავდასხმის შედეგად დაზარალებული პირების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსებისთვის 2008-2009 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსებისთვის გამოყოფილი იყო **800 000 ლარი.** აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა ბაკალავრიატისა და უმაღლესი პროფესიული განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **598 სტუდენტი.**

აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის დროს საქართველოში წარმოებული საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ სტუდენტთა 2008-2009 სასწავლო წლის სწავლის საფასურის დაფინანსებისთვის გამოყოფილი იყო **240 000 ლარი.** აღნიშნული პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული **159 სტუდენტი.**

2008-2009 სასწავლო წელს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე ან პროფესიული უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტით დაფინანსდა 108 სტუდენტი, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებულ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში. გამოყოფილი იყო **155 700 ლარი.**

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

2008 წელს აკრედიტაცია მიენიჭა 2007 წელს არააკრედიტებულ 3 უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებას.

2009 წლისთვის აკრედიტებულის რეჟიმით მოქმედებს 61 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, აქედან 13 ახლადლიცენზირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლებიც არ ექვემდებარებიან აკრედიტაციას 5 წლის განმავლობაში.

მეცნიერება განვითარებისთვის

მეცნიერება განვითარებისთვ

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

- სახელმწიფო გრანტების კონკურსის შედეგად ფონდმა 2006 წლიდან დღემდე სულ 354 სამეცნიერო პროექტი, სხვადასხვა პროგრამებით კი 500-მდე კვლევითი პროექტი დააფინანსა.
- საგრანტო დაფინანსების შედეგად უკვე 1700 -ზე მეტი მეცნიერი (სულ კი 3000-ზე მეტი ადამიანი) დასაქმდა.
- სამეცნიერო კვლევებისთვის სახელმწიფო გრანტების დაფინასების მოცულობა სახელმწიფოს მხრიდან 2006-2012 წლებში 38,21 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

2008 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ფარგლებში 160 პროექტი დაფინანსდა; პროექტების ბიუჯეტების საერთო მოცულობამ 2009-2012 წლებში 18 041 613 ლარი შეადგინა.

2008 წელს მიმდინარეობდა სესფ-ის 2006 წლის სამეცნიერო-საგრანტო კონკურსით დაფინანსებული 81 და 2007 წლის კონკურსით დაფინანსებული 108, სულ 189 პროექტი. საგრანტო პროექტების ფარგლებში ჩატარდა 9 სამეცნიერო კონფერენცია, 40 სემინარი, 20 სადემონსტრაციო დღე. 2008 წლის ბოლოსთვის 45 დასრულებული პროექტის ფარგლებში სულ გამოქვეყნდა 366 სამეცნიერო სტატია, აქედან იმპაქტ-ფაქტორიან ჟურნალებში 151, საერთაშორისო ჟურნალებში 164, ადგილობრივ ჟურნალებში 51; გამოსაქვეყნებლად გადაიცა 85 და გამოსაცემად მომზადდა 70 სტატია; გამოიცა 2 წიგნი და 8 ბროშურა, გაფორმდა 7 პატენტი.

საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად მოკლევადიანი სამოგზაურო გრანტები

სამოგზაურო გრანტები გაიცემა შემდეგი სახის სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად: კონფერენცია, კონგრესი, ფორუმი, სიმპოზიუმი, სემინარი. კონკურსის შედეგად 28 ქვეყანაში დაგეგმილ სამეცნიერო ფორუმში მონაწილეობის მისაღებად დაფინანსდა 51 მეცნიერი, მოპოვებული გრანტების საერთო მოცულობამ 118 150 ლარი შეადგინა.

ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიები

სტიპენდიის ოდენობა თვეში 200 ლარია. პრეტენდენტები 35 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეები არიან. 2008 წელს დაფინანსდა 10 სტიპენდიანტი. მთლიანი თანხა შეადგენდა 24 000 ლარს.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი საკონკურსო კომისიის მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოვლინდა 6 სტიპენდიატი.

ივანე ბერიტაშვილის სახელობის სტიპენდიები

სტიპენდიის ოდენობა თვეში 200 ლარია. პრეტენდენტები 35 წლამდე ასაკის უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს მოქალაქეები არიან. 2008 წელს დაფინანსდა 10 სტიპენდიანტი. მთლიანი თანხა შეადგენდა 24 000 ლარს.

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი საკონკურსო კომისიის მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოვლინდა 10 სტიპენდიატი.

ახალგაზრდა მეცნიერთათვის პრეზიდენტის სამეცნიერო გრანტები

2008 წელს ფინანსდებოდა 37 პროექტი. საერთო ბიუჯეტი - 492 545 ლარი. სულ პროექტების ფარგლებში გამოქვეყნდა 26 სამეცნიერო სტატია, 8 ბროშურა, 4 წიგნი; ჩატარდა პროექტების სამეცნიერო შედეგების 36 პრეზენტაცია. საზღვარგარეთ მივლინებული იქნა 15 ახალგაზრდა მეცნიერი. 2008 წლის დეკემბერში სესფ-ის სამეცნიერო საბჭოს მიერ დასაფინანსებლად გამოვლინდა 55 პროექტი, ერთი პროექტის მაქსიმალური ბიუჯეტი ერთი წლის მანძილზე 15 000 ლარია.

სამეცნიერო-პოპულარული ლექციები საჯარო სკოლებისათვის

კონკურსის შედეგად დაფინანსდა 5 მეცნიერი შემდეგ სფეროებში: ქიმია; ბიოლოგია; ფიზიკა; ასტრონომია; საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. მეცნიერის ჰონორარი თვეში 1600 ლარს შეადგენდა. ლექციები თბილისში, გორსა და ქუთაისში გაიმართა. ჩატარდა 15 საჯარო ლექცია, რომელსაც ათასობით მოსწავლე დაესწრო. მთლიანი ბიუჯეტი შეადგენდა 24 000 ლარს.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტები

2008 წლის იანვრიდან სესფ-მა დაიწყო მუშაობა ევროკავშირის კვლევისა და ტექნოლოგიური განვითარების მე-7 ჩარჩო პროგრამის (FP7) ფარგლებში დაფინანსებულ 4-წლიან პროექტზე „აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების საერთაშორისო თანამშრომლობის ქსელი მეცნიერების და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში" (IncoNet EECA). პროექტში მონაწილეობს 21 ქვეყნის (მათ შორის ევროკავშირის 10 წევრი სახელმწიფოს) 23 ორგანიზაცია. მაკოორდინირებელი ორგანიზაციაა „შავი ზღვის კვლევების საერთაშორისო ცენტრი - ICBSS" (საბერძნეთი). პროექტი მიზნად ისახავს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების მეცნიერთა კოოპერაციის გაღრმავებას ევროკავშირის ქვეყნებთან და მეცნიერების პოლიტიკის ჰარმონიზაციას, ერთობლივი კვლევების ხელშეწყობას (პირველ რიგში FP7-ის ფარგლებში) ინფორმაციის ოპერატიულ გაცვლას და სხვა. სესფ-ისთვის გამოყოფილი თანხა შეადგენს 79 000 ევროს.

ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერის INTAS - საქართველოს ერთობლივი პროგრამა

მიღებულ იქნა INTAS-ის ახალგაზრდა მეცნიერთა სასტიპენდიო გრანტის მფლობელი ქართველი მეცნიერების საქმიანობის საბოლოო ანგარიშები. INTAS-ის ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების ოფიციალური დამტკიცების შემდეგ, სესფ-მა მოახდინა საბოლოო ფინანსური ანგარისწორება გრანტის მფლობელებთან, რითაც 2008 წლის აპრილში ფაქტობრივად დაიხურა INTAS-ის ახალგაზრდა მეცნიერთა სასტიპენდიო გრანტის პროგრამა. ბიუჯეტი შეადგენდა 97 900 ლარს.

მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების პროგრამა

ამ პროგრამის ფარგლებში 2006-2007 წლებში დაფინანსდა 15 პროექტი. საერთო ბიუჯეტი შეადგენდა 183 800 ლარს. 2008 წლის 19 დეკემბერს უკრაინის სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ცენტრისა (STCU) და სესფ-ის მიერ „მიზნობრივი კვლევებისა და განვითარების ინიციატივების" - პროგრამის ფარგლებში გამოცხადდა მესამე კონკურსი. შერჩეული იქნა სამი პრიორიტეტული სფერო: 1. ბიოტექნოლოგიები და მეცნიერებები სიცოცხლის შესახებ; 2. ენერგოეფექტურობა; 3. საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები.

CRDF/GRDF - საქართველოს ერთობლივი სამეცნიერო - ტექნოლოგიური პროგრამა STEP

დაიწყო აშშ-ს სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდისა (CRDF) და სესფ-ის მიერ „მეცნიერების, ტექნოლოგიების და მეწარმეობის პროგრამის (STEP 2007)" ფარგლებში ჩატარებული I კონკურსში გამარჯვებული 8 პროექტის დაფინანსება. 2008 წლის 18 ივნისს გამოცხადდა II კონკურსი, რომლის შედეგადაც დაფინანსდა 6 პროექტი. ბიუჯეტი შეადგენდა 41 468 ლარს.

ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობის CRDF/GRDF - საქართველოს ნაციონალური პროგრამა

ახალგაზრდა მეცნიერთა ეროვნული პროგრამის (NSS) ფარგლებში 2007 წელს დაფინანსდა 15 პროექტი. საერთო თანხამ შეადგინა 41 500 ლარი.

2008 წლის მანძილზე გრძელდებოდა ახალგაზრდა ქართველი მკვლევარების მუშაობა აშშ-ს სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდისა (CRDF) და სესფ-ის 2007 წლის პროგრამის ფარგლებში ერთწლიანი I საგრანტო კონკურსით დაფინანსებულ 15 პროექტზე. ისინი 3-თვიანი მივლინებებით იმყოფებოდნენ აშშ-ს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. დამთავრდა განაცხადების მიღება 2008 წელს გამოცხადებულ II კონკურსზე. ჩატარდა კონკურსანტების შეფასება ინგლისური ენის ცოდნაზე. აშშ-ს ექპერტთა მიერ მოხდა პროექტების სამეცნიერო დონის შეფასება. კონკურსის შედეგად გამოვლინდა 10 გამარჯვებული პროექტი.

საქართველოს კვლევითი და საგანმანათლებლო ცენტრების პროგრამა - (CORE) CRDF/GRDF-საქართველოს ერთობლივი დაფინანსებით

ამ პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 1 პროექტი, რომლის ბიუჯეტი შეადგენდა 300 000 აშშ დოლარს. საქართველოს კვლევისა და საგანმანათლებლო ცენტრების პროგრამის (CORE), აშშ-ს სამოქალაქო კვლევისა და განვითარების ფონდისა (CRDF) და სესფ-ის მიერ ერთობლივი დაფინანსებით, ი. ჭავჭავაძის უნივერსიტეტში გრძელდება მუშაობა პროექტზე - კავკასიის ბიომრავალფეროვნების შესწავლა „ბიომრავალფეროვნების ცხელი წერტილი". პროექტის ფარგლებში, უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ბიომრავალფეროვნების კვლევის ცენტრმა.

ევროატლანტიკურ სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის პროცესის ხელშეწყობა

NATO-ს სამეცნიერო პროგრამებში ქართველ მეცნიერთა მონაწილეობის სტიმულირებისთვის, NATO-ს პროგრამა „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის" ორი ქვეპროგრამის: „მეცნიერება მშვიდობისათვის" (SFP) და „ქსელური ინფრასტრუქტურის გრანტები" (NIG) ფარგლებში მიმდინარე პროექტების მონაწილე ქართველ მეცნიერებს დაენიშნათ სახელმწიფო სტიპენდიები (შესაბამისად 500 და 300 ლარი). SFP-ის პროგრამით სექტემბერ-ოქტომბერში NATO-ს გრანტი მიიღო კიდევ ერთმა პროექტმა, რომელსაც შესაბამისად სესფ-ის მიერ დაენიშნა სახელმწიფო სტიპენდიები. ბიუჯეტი -120 700 ლარი.

მეცნიერება და ტექნოლოგიები, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ხელშემწყობი ინსტრუმენტი

2008 წლის 30 ივნისიდან 5 ივლისამდე NATO-ს პროგრამის ფარგლებში „მეცნიერება მშვიდობისა და უსაფრთხოებისთვის - მოწინავე სწავლების კურსი" თბილისში მიმდინარეობდა სასწავლო სემინარი, რომლის ორგანიზატორებიც იყვნენ სესფ-ი და ესტონეთის სამეცნიერო ფონდი „არქიმედესი". სემინარი მიეძღვნა პრობლემას: „საქართველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების პოლიტიკა, როგორც ქვეყნის უსაფრთხოების ხელშემწყობი საშუალება". სემინარის მუშაობაში, გარდა ქართველი და ესტონელი მეცნიერებისა და ექსპერტებისა, მონაწილეობდნენ ინგლისელი, ბერძენი, სომეხი და აზერბაიჯანელი კოლეგები. ღონისძიების უმთავრესი მიზანი გახლდათ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პოტენციალის უკეთ გამოყენება უსაფრთხოების სისტემის განვითარებისათვის. მოწვეულმა ექსპერტებმა NATO -ს წევრი ქვეყნებიდან ფართოდ წარმოადგინეს როგორც მათ ქვეყნებში, ისე მთლიანად ევროატლანტიკურ სივრცეში უსაფრთხოების უზრუნველყოფის თანამედროვე პრობლემატიკა. კონკრეტულ მაგალითებზე განიხილეს ამ პროცესში მეცნიერებისა და ტექნოლოგიური განვითარების მნიშვნელოვანი როლი.

ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარება (პროექტი INNOTRANS)

2008 წლის მაისიდან დაიწყო მუშაობა პროექტზე: „საქართველოსთვის ესტონეთის გამოცდილების გაზიარება ინოვაციისა და ტექნოლოგიის გადაცემის ხელშემწყობი სტრუქტურების განვითარებაში" (INNOTRANS), რომელშიც ესტონელ კოლეგებთან (ესტონეთის განვითარების ფონდი, არქიმედესის ფონდი და ტალინის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი) ერთად ჩართულები არიან ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი.

პროექტი INNOTRANS-ი მოიცავს ინტერაქტიურ ტრეინინგებს და სასწავლო ვიზიტებს. პროექტის მთავარ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ჩართულნი არიან კვლევის, განვითარების და ინოვაციის პოლიტიკაში, საქართველოში არსებული ტექნოლოგიის გადაცემის და საინოვაციო საქმიანობის მხარდამჭერი სტრუქტურების მენეჯერები, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების წამყვანი მეცნიერები და ადმინისტრატორები.

„რუსთაველის ფონდი"

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი

ფონდის დაფინანსებამ შეადგენდა 2 826 900 ლარი. აქედან 89% ფონდის პროგრამებისთვის იყო განკუთვნილი. 2008 წელს კონკურსებში გამარჯვებულ პროექტებში დასაქმებულია და ფინ-ანსდება 400-ზე მეტი მეცნიერი.

სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

2008 წლის განმავლობაში გაგრძელდა 2006-2008 წლებში დაწყებული 58 სამეცნიერო პროექტის დაფინანსება, ბიუჯეტი - 2 226 960 ლარი. ამათგან, წლის ბოლოსთვის დასრულდა 17 პროექტი. 2008 წელს გამოცხადებული ახალი კონკურსის შედეგად დაფინანსდა 45 პროექტი. მათი განხორციელება 2009 წლის იანვრიდან დაიწყო.

თემატური კონკურსი „ილია და გლობალიზაცია"

ილია ჭავჭავაძის 170 წლის იუბილესთან დაკავშირებით რუსთაველის ფონდმა გამოაცხადა თემატური კონკურსი „ილია და გლობალიზაცია". კონკურსში მონაწილეობდა 21 პროექტი. დაფინანსება მიიღო სამმა პროექტმა. პროექტების დაფინანსება 2008 წლის ოქტომბრიდან დაიწყო. ბიუჯეტმა შეადგინა 39 374 ლარი.

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო სამეცნიერო გრანტები

მოკლევადიანი ინდივიდუალური სამოგზაურო სახელმწიფო გრანტების კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოს მეცნიერების მონაწილეობას საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში. 2008 წლის განმავლობაში დაფინანსდა 25 მეცნიერი. კონკურსის ბიუჯეტი 52 060 ლარს შეადგენდა.

საკონფერენციო გრანტების კონკურსი

საკონფერენციო გრანტების კონკურსის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ლოკალური და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებას. 2008 წლის კონკურსში დაფინანსდა 2 პროექტი. მთლიანი თანხა შეადგენდა 24 680 ლარს.

ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდია ახალგაზრდა მეცნიერთათვის

ახალგაზრდა მეცნიერთათვის ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიის კონკურსი პირველად 2007 წლის ნოემბერში გამოცხადდა. საკონკურსოდ დაფინანსება მიიღო 10-მა ახალგაზრდა მეცნიერმა. მთლიანი თანხა შეადგენდა 24 000 ლარს. ახალგაზრდა მეცნიერები 2008 წლის განმავლობაში იღებდნენ სტიპენდიას 200 ლარის ოდენობით. ახალი კონკურსი 2008 წელსაც გამოცხადდა.

შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდია მეცნიერთათვის

შოთა რუსთაველის სახელობის სტიპენდიის კონკურსი პირველად 2007 წლის ნოემბერში გამოცხადდა. სტიპენდიის მოსაპოვებლად განაცხადი 16-მა მეცნიერმა შემოიტანა. 2008 წლისთვის დაფინანსება მიიღო 5-მა მეცნიერმა. მთლიანი თანხა შეადგენდა 24 000 ლარს. მათი სტიპენდიის ოდენობა თვეში 400 ლარს შეადგენდა. ახალი კონკურსი 2008 წელსაც გამოცხადდა.

ქართველი მეცნიერების ციტირების ინდექსი და ქართველი მეცნიერების პუბლიკაციები მაღალრეიტინგულ ჟურნალებში

განათლებისა და მეცნიერების სისტემაში მიმდინარე პროცესების კვლევებ-ის, მეცნიერების განვითარების პროგნოზირებისა და მსოფლიო მეცნიერების მიღწევათა შესაბამისად სახელმწიფო პრიორიტეტების შესახებ წინადადებ-ების შემუშავებისათვის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესებ-ისა და რაციონალური რეკომენდაციების შემუშავებისათვის ძალზე მნიშ-ვნელოვანი იყო Journal Citation Reports და Web of Science ბაზის შეძენა და ქართველი მეცნიერებისათვის ამ პროგრამით სარგებლობის საშუალების მიცემა.

ISI Web of Science® წარმოადგენს ციტირების ინდექსის ბაზას, რომელიც განკუთვნილია მკვლევარების, ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალი-სა და სტუდენტებისათვის. იგი მოიცავს მსოფლიოში ყველაზე მაღალი გავ-ლენის ფაქტორის მქონე 10 000 სამეცნიერო ჟურნალსა და 110 000 საკონფერ-ენციო მასალას 1 900 წლიდან მოყოლებული დღემდე. ISI Web of Knowledge SM წარმოადგენს საუკეთესო სამეცნიერო ბაზას, რომელიც საშუალებას აძლევს მკვლევარს სწრაფად მოიძიოს და გაანალიზოს ინფორმაცია მის-თვის საინტერესო კვლევის სფეროში. ISI Web of KnowledgeSM სხვა მრავალ პროდუქციასთან ერთად გვთავაზობს ჩვენი სამეცნიერო საზოგადოებისათვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან ორ ბაზას: Web of Science®-სა და Journal Citation Reports®.

პროგრამის ფარგლებში შედგა წინასწარი მოლაპარაკებები ”Thomson Reu-ters”-თან, რომელიც აღნიშნული ბაზის ექსკლუზიურ მომწოდებელს წარმოად-გენს. მოლაპარაკებების შედეგად გაფორმდა ხელშეკრულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ”Thomson Reuters” წარმო-მადგენლობას შორის. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველზე მოხდა 4 კომპიუტერული IP-ის ჩართვა, რომლითაც სარგებლობს 30-მდე უმაღლესი სა-განმანათლებლო დაწესებულება, სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტი, ეროვნუ-ლი სამეცნიერო ფონდი, რუსთაველის ფონდი და სხვ.

გორის №-7 საჯარო სკოლა დაბომბვის შემდეგ

აგვისტოს ომის შედეგები

აგვისტოს ომის შედეგები

2008 წლის აგვისტოში, რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებული სამხედრო აგრესიის შედეგად, კონფლიქტურ რეგიონებში მოქმედი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალი უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ომის შედეგად ბავშვთა უფლებების დარღვევის მძიმე ფაქტები დაფიქსირდა სიცოცხლის ხელყოფის, უსაფრთხოების დარღვევის და განათლების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის სახით.

ზარალის ნეიტრალიზაციის მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარდა შემდეგი ძირითადი ღონისძიებები:

- თავშესაფრებში განლაგებულ იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს გაეწიათ გადაუდებელი დახმარება;
- განხორციელდა განათლების ხელმისაწვდომობის აღდგენაზე მიმართული ღონისძიებები;
- პედაგოგების და ადმინისტრაციულ პერსონალს გაეწიათ სხვადასხვა სახის დახმარება;
- აღდგენილ იქნა დაზიანებული ინფრასტრუქტურა და სხვ.

რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოზე განხორციელებული აგრესიის შედეგად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სისტემისთვის მიყენებული ზარალი შეფასდა 2008 წლის სექტემბრის თვეში. ზარალის მოცულობა დრამატული აღმოჩნდა:

- საომარი მოქმედეგების შედეგად, კონფლიქტის ზონაში და მის გარეთ დაიჭრა 19 ბავშვი. გორის რაიონში განხორციელებული დაბომბვის შედეგად გარდაიცვალა 15 წლის მოზარდი.
- აიღრიცხა 28 180 იძულებით გადაადგილებული ბავშვი და მოზარდი, რომლებიც აღმოჩნდნენ სწავლის გაგრძელების შესაძლებლობის შეწყვეტის საფრთხის წინაშე. ოქტომბრის თვეში რამდენიმე დონორი და არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ჩატარდა ომის შედეგად დაზარალებული ბავშვების მდგომარეობის შეფასება. შეფასების შედეგად დადგინდა, რომ გამოკითხული ბავშვების 75%-ს აღენიშნება სხვადასხვა სახის პოსტ-ტრამვული სიმპტომები. კერძოდ, 35%-ზე მეტს - ძილის დარღვევა დაუფიქსირდა, ბავშვების 35%-ში პოსტ-ტრამვული სიმპტომები გამოიხატა კვების დარღვევით, 11%-ში - მეტყველების შეჩერებით და 33%-ში - აგრესიული ქცევით.
- აიღრიცხა 9 500 იძულებით გადაადგილებული მასწავლებელი.

„ომარგების ქალაქი"

ერეგნეთის საჯარო სკოლა დარბევის შემდეგ

▪ დაინგრა და დაზიანდა 55 საგანმანათლებლო დაწესებულება.

▪ 165 სკოლა, 195 საბავშვო ბაღი, 15 პროფესიული ცენტრი, 4 საზაფხულო ბანაკი და 9 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გამოყენებულ იქნა თავშესაფრად.

▪ 1500-მდე დაზარალებულ სტუდენტს მნიშვნელოვნად გაუუარესდა ოჯახის ფინანსური მდგომარეობა და, შესაბამისად, დაკარგა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაფინანსების შესაძლებლობა.

ინფრასტრუქტურის ზიანი

სამხედრო ოპერაციების დროს განხორციელებული დაბომბვების, დანაღმვის, ძარცვის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურა.

კონფლიქტის ზონებში მიყენებული ზიანი:

▪ დამწვარია 6 სკოლა თიღვასა და ერედვში;

▪ გაძარცვულია 13 სკოლა ერედვში, ქურთასა და თიღვაში;

▪ დანგრეული და გაძარცვულია ერედვის, თიღვის, ახალგორის და ქურთის საგანმანათლებლო რესურსცენტრები;

▪ გაძარცვული და დაზიანებულია ზემო აფხაზეთის ერთი სკოლა.

კონფლიქტის გარეთ არსებულ ტერიტორიებზე მიყენებული ზიანი

▪ გორის რაიონი: დაზიანდა 23 სკოლა, 7 სკოლა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას;

▪ მნიშვნელოვნად დაზიანდა გორის უნივერსიტეტის ცენტრალური კორპუსი;

▪ კასპის რაიონი: სერიოზულად დაზიანდა სამი სკოლა და ერთი პროფესიული ცენტრი;

▪ ქარელის რაიონი: დაზიანდა და გაიძარცვა 9 სკოლა;

▪ სენაკის რაიონი: დაზიანდა 2 სკოლა და ნაწილობრივ დაინგრა ერთი პროფესიული ცენტრი;

▪ გაიძარცვა და შემდეგ დაიწვა განმუხურის საზაფხულო ბანაკი.

რუსული აგრესიის შედეგად, საქართველოს 500-ზე მეტი საგანმანათლებლო დაწესებულება თავშესაფრად იყო გამოყენებული. შედეგად, მნიშვნელოვნად დაზიანდა ამ დაწესებულებების ინფრასტრუქტურა.

თავშესაფრებში განლაგებული იძულებით გადაადგილებული ოჯახებისთვის გაწეული გადაუდებელი დახმარება

▪ ქ. თბილისის N51 საჯარო სკოლაში განთავსებული დევნილი მეძუძური დედები უზრუნველყოფილნი იქნნენ საკვებით და სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნით (22 000 ლარი);

▪ უმაღლეს საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით, ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დევნილი მოქალაქეების განთავსების გამო გაზრდილი კომუნალური ხარჯების დაფარვის მიზნით, სამინისტროს ბიუჯეტიდან გამოიყო 820 000 ლარამდე.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განათლების ხელმისაწვდომობის აღდგენისთვის მიმართული ღონისძიებები:

ზოგადი განათლება

▪ საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებული II-XII კლასის მოსწავლეების სასკოლო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის მიზნით დაიხარჯა 389 155 ლარი;

- განხორციელდა იმ სკოლების სასკოლო მერხებით უზრუნველყოფა, სადაც სწავლობენ კომპაქტური ჩასახლების ადგილებში მცხოვრები დევნილი მოსწავლეები. კერძოდ, 32-მდე ასეთ სკოლას გადაეცა 1 094 სასკოლო მერხი.

პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის დახმარება:

რუსეთის მიერ 2008 წლის აგვისტოში განხორციელებული აგრესიის შედეგად ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი პედაგოგებისა და ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით (საომარ მოქმედებებამდე დაფიქსირებული შრომის ანაზღაურების შენარჩუნება) დევნილ პედაგოგებს 2008 წლის ბოლომდე გადაერიცხათ 717 318 ლარი. ასევე, 2008 წლის განმავლობაში ყოველკვრტალურად გადარიცხულმა ფინანსურმა დახმარებამ შეადგინა 2 949 510 ლარი.

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის პროექტის „სწავლება ომის შედეგად დანატოვარი ფეთქებადი ნარჩენების შესახებ" ფარგლებში შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ კი გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის რაიონებში განხორციელდა 180 სკოლის პედაგოგების (შემდგომში მწვრთნელ-ხელმძღვანელთა) გადამზადება. ტრენინგებზე მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე მოხდა მასალის ინტეგრირება სხვადასხვა საგნის სასწავლო პროგრამაში, შემუშავდა საგაკვეთილო გეგმები და

ჩატარდა გაკვეთილები რეგიონის ყველა სკოლის დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე.

თითოეულ სკოლას დაურიგდა ნაღმების, კასეტური ბომბების, დანაღმული და სახიფათო, აგრეთვე გამაფრთხილებელი ნიშნებით აღჭურვილი ადგილების ამსახველი თვალსაჩინო მასალა.

პროექტის მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული აქტივობების შემდგომ სამიზნე სკოლებში მოხდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა გამოკითხვა ინტეგრირებულ გაკვეთილებზე მიღებული ცოდნის შესამოწმებლად, რამაც საკმაოდ მაღალი ხარისხი აჩვენა.

ერგნეთის საჯარო სკოლა დარჩვეის შემდეგ

დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა სამინისტროს მიერ დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღსადგენად მიმართული იქნა თანხები:

- 260 ათას ლარამდე - სოფელ რუისის №3 საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის;
- 5,5 ათას ლარზე მეტი - სოფელ ნიქოზის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის;
- 32 ათას ლარზე მეტი - სოფელ ტირძნისის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის;
- 114 ათას ლარამდე - სოფელ დვანის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის;
- 114 ათას ლარამდე - სოფელ ცერონისის საჯარო სკოლის რეაბილიტაციისთვის;
- 164 ათას ლარამდე - კასპის, ხაშურის, ქარელის, გორის, სენაკისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე დაზიანებული საჯარო სკოლების რეაბილიტაციისთვის.

განათლების და მეცნიერების სამინისტო გაწეული დახმარებისთვის მადლობას უხდის ყველა საერთაშორისო, არასამთავრობო თუ კერძო ორგანიზაციას, რომელთა შორის არიან: USAID, WORLD VISION GEORGIA, UNICEF, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაცია „განათლება დემოკრატიისათვის", გერმანიის ტექნიკური დახმარების ფონდი, გერმანული ასოციაცია "Genesis", გაეროს განვითარების პროგრამა, საქართველოს ბანკი, საერთაშორისო ორგანიზაცია ,,აგრობიზნესის განვითარების პროექტი" და სხვ.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის ქ. 52

ტელ: (995 32) 43 88 21
ფაქსი: (995 32)43 88 19

ვებ-გვერდი: www.mes.gov.ge ელ-ფოსტა: pr@mes.gov.ge

ეროვნული სასწავლო გეგმების და შეფასების ცენტრი
National Curriculum & Assessment Centre

თბილისი, 0102
დიმიტრი უზნაძის ქ. 52

ტელ: (995 32) 95 79 88
ფაქსი: (995 32) 95 79 88

ვებ-გვერდი: www.ganatleba.org; ელ-ფოსტა: info@ganatleba.org

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის # 52

ტელ: (995 32) 95 58 36; (995 32) 91 14 53
ფაქსი: (995 32) 95 58 36

ვებ-გვერდი: www.tpdc.ge; ელ.ფოსტა: info@tpdc.ge

საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

თბილისი 0102 ,
დ.უზნაძის 68, III სართული

ტელ.: 91-05-52

ვებ-გვერდი: www.dlf.ge; ელ.ფოსტა: info@dlf.ge

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი

თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. 68

ტელ: (+995 32) 95 74 16;
ფაქსი: (+995 32) 95 62 05

ვებ-გვერდი: www.gnsf.ge; ელ-ფოსტა: office@gnsf.ge

ქართველოლოგიის, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ფონდი

თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. 68

ტელ: (995 32) 95 33 21

ვებ-გვერდი: www.rustaveli.org.ge;
ელ-ფოსტა:info@rustaveli.org.ge

განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

თბილისი 0102,
დიმიტრი უზნაძის ქ. 68

ტელ/ფაქსი: (+995 32) 91-02-27

ვებ-გვერდი: www.nea.ge
ელ-ფოსტა: info@nea.ge

გაეროცდების ეროვნული ცენტრი

თბილისი, 0102,
ივ. ჯავახიშვილის ქ. 60

ტელ: (995 32) 43 92 12
ფაქსი: (995 32) 43 94 03 a

ვებ-გვერდი: www.naec.ge; ელ-ფოსტა: pr@naec.ge

წლიური ანგარიში

2008

mes.gov.ge